№ 130
სამშაბათი 22 ივნისი, 1899 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

ივერია

№ 130
სამშაბათი 22 ივნისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გაზეთი „ივერია“ პირველ ივნისიდგან წლის დამლევამდე ეღირება **6** მან. **50** კაპ.

შევისწავლე რა **საეკკლესიო მხატვრობა** მოსკოვის საუკეთესო სახელოსნოებში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

საეკკლესიო სამხატვრო სამუშაოები

შევასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს იმისა, რომ ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობის წერილებიც-კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდანოვის სახლი. **ანდრეევი.** (30—78—16)

«ივერიის» რედაქციისაგან.

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი 7½—8 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ).

ახალი ამბავი

⁂ ტფილისში ჩამოვიდა ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორი ა. ხახანაშვილი. ამ დღეებში ბ-ნი ხახანაშვილი ქუთაისის გუბერნიაში სოფ. უწერას აპირებს წასვლას.

⁂ მთავრობას კავკასიის საბაღოსნო საზოგადოებისათვის ნება დაურთავს გამოსცეს ტფილისში, შავროვისა და კარლ კვეესის რედაქტორობით ჟურნალი: „Кавказскій вѣстникъ практическаго садоводства“.

⁂ ტფილისის დღევანდელ საბჭოდგან ამ ორის წლის განმავლობაში სულ გამორიცხულა 13 ხმოსანი ავადმყოფობისა, გარდაცვალებისა, ტფილისიდგან სხვაგან გარდასახლებისა და სხვა მიზეზების გამო. გარდა ამისა, მაშინვე, არჩევნების შემდეგ ხმოსნის თანამდებობაზედ უარი განაცხადა 8 ქართველმა. ამ ჟამად საბჭოში დარჩენილა 66 ხმოსანი და გამგეობის ორი წევრი ხმის უფლებით. რადგან ხმოსნების კანდიდატები არჩეულნი არა ჰყოფილან, ამის გამო დაცლილი ადგილები ცალიერი დარჩება, ვიდრე დღევანდელ საბჭოს სამსახურის ვადა არ გაუვა, ე. ი. 1901 წლამდე.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავს, საჩქაროდ წარმომიდგინეთ ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობის 1898 წლის მოქმედების ანგარიში და იმავე წლის ქალაქის შემოსავალ-გასავლის ცნობებიო.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა თელავის ქალაქის მამასახლისს შეაჩერეთ თელავის ქალაქის რწმუნებულთა კრების დადგენილების შესრულება სასანიტარო მზრუნველთა და მათის კანდიდატების არჩევის შესახებაო.

⁂ იმ სეტყვას, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა ქ. დუშეთს, გადაუვლია მაზრის 17 სოფელზედ, რომლებშიაც მთლად გაუნადგურებია ნათესი. ზარალი თუმცა ჯერ არ გამოურკვევიათ, მაგრამ დასეტყვილ ადგილების სივრცის მიხედვით ფრიად დიდი თურმე.

⁂ კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს თვისის აფთიაქის დაარსების შესახებ.

⁂ 18 ივნისს რიყეზედ მოხდა ტფილისის მეეტლეთა კრება, რომელზედაც დაესწრო 300 კაცი. კრებამ აირჩია 10 კაცი საეტლო ნიხრის შეცვლის პროექტის შესადგენად. გარდა ამისა, კრებამ მოიწონა მეეტლეთა მამასახლისის-მიერ წარდგენილი პროექტი მეეტლეთა წესების შესახებ და დაადგინა: გადაეცეს ეს პროექტი დასამტკიცებლად გუბერნატორს იმ თხოვნასთან ერთად, რომ ქალაქის გამგეობას წინადადება მიეცეს შესცვალოს დაძველებული სავალდებულო დადგენილებანი მეეტლეობის შესახებ.

⁂ უმთავრესმა სასტატისტიკო კომიტეტმა მოითხოვა სათანადო მთავრობისაგან ცნობები იმ ადგილების სივრცის შესახებ, რომლებზედაც ამიერ-კავკასიაში პური და სხვა გვარი პურის მცენარე ითესება.

⁂ რადგან ქალაქის გამგეობას ჯერ კიდევ არ შეუსრულებია გუბერნიის მმართველის წინადადება იმის შესახებ, რომ საქონლის დასაყენებელი ადგილი თივის მოედნიდგან ნავთლუღში გადაეტანათ და სავალდებულო დადგენილებანი შეემუშავებინათ საბეითალო-სასანიტარო ნაწილისათვის, ამის გამო ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის მოურავს, დაუყოვნებლივ შეასრულეთ წინადადებაო.

⁂ წელს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას შაბიამნისა, გოგირდისა და იარაღების გაყიდვიდგან შემოსვლია სულ 120,000 მან. შაბიამნის მაზანდამ ამ ბოლო დროს შესამჩნევად აიწია; მაგალ., ამ წლის დამდეგს საზოგადოება ფუთს შაბიამანს ჰყიდდა 4 მან. და 10 კაპ., შემდეგ მაზანდის აწევის გამო იძულებული შეიქმნა გაეყიდნა 4 მან. და 65 კ. მაზანდის აწევა იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ ინგლისის ფირმები ამჯობინებენ სპილენძის ჩამომსხმელ ქარხნებს მიჰყიდონ შაბიამანი უფრო ხელ-საყრელ ფასად, ვიდრე ვაზის სამკურნალო წამლად ჰყიდონ იგი.

⁂ საქარის სანერგის მმართველმა შეატყობინა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ ერთმა ხარკის ამკრებმა ინსპექტორმა მოითხოვა, რომ საზოგადოების მიერ დაარსებულ საწყობებს ვაჭრობის უფლების მისაღებად მოწმობა უნდა ჰქონდეთო.

⁂ 20 ივნისს გორის ქალაქის

ფელეტონი

ისევ ბანკიდგან დასაბრუნებელ ფულის შესახებ

„ფულს ცუდი სუნი უდისო“, უთქვამთ ძველად და მართალიც არის. ვინ მოსთვლის, რამდენი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ბანკიდგან „დასაბრუნებელ ფულების„ ამბის გაგონებამ! ამ ფულის მოხმარების შესახებ, როგორც ვიცით, იმდენი სხვა-და-სხვა აზრი გამოითქვა, რამდენიც წერა-კითხვის მცოდნეა ჩვენში.

მაგრამ ახლა, როდესაც 28 მარტს მომხდარმა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებამ თავისი გადაწყვეტილებით ამ „მისაღებ ფულის“ დანიშნულება ასე თუ ისე განსაზღვრულის წრით შემოფარგლა, ეხლა მაინც ფულის მოხმარების შესახებ აზრთა სხვა-და-სხვაობას ფრთა შეეკვეცა და ძალა-უნებურად ყველა უნდა შეურიგდს იმ აზრს, რომ მხოლოდ ერთად-ერთი დანიშნულება ამ ფულისა არის ის, რომ „მისი წმინდა მოგება უნდა მოხმარდეს იმერეთის შვილების სწავლა-განათლების საქმეს“.

ცხადია, ეს ფარგალი საკმაოდ განსაზღვრულია, მაგრამ არც ისე მჭიდროდ მოთავსებულა შიგ ფული, რომ ფრიალ-კოტრიალი არ დაიწყოს. ფული რომ ამ წრეშიაც ვერ გაჰქილა და თავისუფლად დაფრიალდაკოტრიალობს, ამას ცხადად გვიმტკიცებს სხვა და-სხვათა სხვა-და სხვა პროექტი იმის შესახებ, თუ ვის მიეცეს შემწეობა სწავლა-განათლების შესაძენად ამ ფულის სარგებლით.

საზოგადოდ ყველა იმ აზრისა არის, რომ შემწეობა უნდა აღმოეჩინოს უმაღლესის სწავლა-განათლების მსურველთ, როგორც რუსეთში, ისე სამზღვარ-გარედ წასვლელთათ. კეთილი და პატიოსანი! უმაღლესის სწავლა-განათლების მოტრფიალე ვინ არ არის. ახლა ვინც ამ აზრს არ თანაუგრძნობს, ყრუს დაუძახებენ და აბუჩად აიგდებენ. ამ გვარს დაცინვას, რასაკვირველია, ყველა ერიდება და მრუდი და მართალი გაიძახის: „მაშ! მაშ! უმაღლესად სწავლა-განათლებულნი გვეჭირვება, რომ ჩვენს ბრმა ქვეყანას წინ გაუძღვენ და სამოთხეში შეიყვანონო“. (ბრმა სამოთხეში მისის სიმშვენიერის სანახავად.) ახლა ისიც უნდა იკითხოთ, თუ რა ნაირის გატაცებით ამბობს ამ სიტყვებს ეს უმაღლესის სწავლა-განათლების მოტრფიალე! ისე დაგცქერის, თითქმის მხოლოდ მისი აზრი იყოს ეს და შენ-კი იმის დაფასებაც არ შეგეძლოს, ამასთან თუ ამ „ფულში“ ცოტა რამ წილი ამ მაღალ-აზრების მოტრფიალესაც აქვს, მაშინ ხომ იმისს ბაქა-ბუქს საზღვარი არა აქვს.

თუ ასეა, მეც ხმა ამომეღება. ღმერთი, რჯული, მეც ძლიერ ვეტრფი უმაღლესს სწავლა-განათლება! ჩემის საკუთარის ჯიბიდგან არც დამიშურებია და არც დავიშურებ შეძლებისა დაგვარ შემწეობას იმ ახალ-გაზრდობისათვის, რომლებიც უმაღლესის სწავლა-განათლებისაკენ მიისწრაფიან, მხოლოდ, რაც გინდათ მიწოდონ, იმ აზრის თანხმა მაინც არა ვარ, რომ საზოგადო საქმის თავნმა კერძო საქველ-მოქმედო ხასიათი მიიღოს, ე. ი. „საერთო ფულები“ კერძო კაცთა საქმეს მოხმარდეს.. ეხლავე ვიცი, სასაცილოდ მიიჩნევენ ზოგიერთები ამ ხაზ-გასმულ სიტყვებს „რასა ჰბოდავს! სადაური კერძო კაცებიო! ჩვენ ხომ ჩვენის მამულიშვილების სწავლა-განათლებას ვახმარებთ ფულს, და ჩვენი მამულიშვილები ხომ ჩვენისავე საზოგადოების წევრები არიანო“! იტყვიან ისინი. მართალია, ჩვენის საზოგადოების წევრები არიან, მაგრამ ისიც ხომ ჰეშმარიტებაა, რომ სივრცე ცნებისა დამოკიდებულია მის გარემოცულობის სიდიადეზედ.

საზოგადო საქმეს მაშინ აქვს ვრცელი საზოგადოებრივი ხასიათი, როდესაც მის ავ-კარგიანობაში, ყველას თუ არა, უმრავლესობას მაინც ამ საზოგადოების წევრთაგანს წილი უდევს. ვიხელმძღვანელებ ამ დასკვნით იმ ჩემის ვითომდა შემცდარის აზრის გასამართლებლად, რომ ფულის მოგების დახარჯვა იმათთვის, რომლებიც უმაღლესს სწავლა განათლებას დაეწაფებიან, კერძო სამსახური იქნება და არა საზოგადო ინტერესების დაცვა, მოვიშველიებ რიცხვებს. როგორც ვიცით, ქუთაისის ბანკის დასაარსებლად 6500 კაცს გამოუღია თავისი წვლილი. მაშინ თუ ბანკის დამფუძნებელთა რიცხვი 6500 იყო, ახლა ამ „საერთო ფულში“ ცოტად თუ ბევრად წილ-დებულთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნება. სულ ცოტა რომ ვთქვათ, 8000 კაცი მაინც იქნება. ახლა ისიც ვივარაუდოთ, რამდენს შემოიტანს ამ 8000 კაცის საზიარო 450,000 მანეთი? დავემყაროთ ბ-ნ გ. წერეთლის ანგარიშს. ვთქვათ, უეჭველად ყოველ წლიურად 18 ათასი მანეთი ფულის სარგებელი მივიღეთ. ამ თვრამეტის ათასის მანეთიდგან ორი ათასი მანეთი მაინც დაიხარჯება საქმის საწარმოებლად. დარჩა 16 ათასი მანეთი. დავანებოთ, ჯერ-ჯერობით, ამ თანხის ორ წილად გაყოფას თავი, ე. ი. დავივიწყოთ, რომ მისი ნახევარი პირველ დასაწყისს სწავლა-განათლების საქმეს უნდა მოხმარდეს ზოგიერთების რჩევის თანახმად და ვთქვათ, რომ ეს 16 ათასი მან. გავიმეტეთ მარტო იმათთვის, რომლებიც უმაღლესს სასწავლებლებში წავლენ. აქაც დავეთანხმოთ ბ-ნ გ. წერეთელს და თითოეულს იმათგანს დავუნიშნოთ წლიურად 500 მან. გამოდის, რომ პირველ ბედნიერ წელიწადსვე შეგვიძლიან გავგზავნოთ რუსეთში 32 კაცი; მაგრამ თუ არ დავივიწყებთ, რომ თითოეულმა ამათგანმა უნდა დაჰყოს უნივერსიტეტში ოთხს წელიწადს მაინც, მაშინ 32 უნდა გავყოთ ოთხად და იქნება რვა. აქედგან სჩანს, რომ ყოველ-წლიურად ჩვენ შეგვეძინება უმაღლესს სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული 8 კაცი, ან, ასე ვთქვათ, ყოველ ოთხის წლის შემდეგ 32 კაცი. ეს სულ ერთია. თუ იმასაც ვიფიქრებთ, რომ ვინიცობაა ამ სწავლა-დამთავრებულებმა საზღვარ-გარეთაც ისურვეს წასვლა, სადაც ოთხს წელს მაინც უნდა დაჰყონ, მაშინ ხომ ეს ანგარიშიც შუაზე იყოფა, ასე რომ ყოველ-წლიურად ჩვენ შეგვეძინება ევროპაში განათლებული 4 კაცი.

მამასახლისმა წარუდგინა დასამტკიცებლად ტფილისის გუბერნატორს საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს დადგენილების თანახმად შესწორებული საარჩევანო სია ქ. გორის იმ სახლის პატრონებისა, რომელთაც უფლება აქვთ აირჩიონ ქალაქის რწმუნებულნი.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა გადასცა სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებას საქმე ტფილისის მცხოვრებთა ივან ვასილიევისა (26 წლისა), იაგორ თარხნიშვილისა (29 წ.) და განჯის მცხოვრების ბეგლარ ხოჯაევისა, რომელთაც ისა ჰბრალდებათ, რომ 1898 წლის გასულს, ტფილისში პირველ ბრალდებულის, ვასილიევის საზეინკალოში ნიკოლოზის ქუჩაზედ, ალელოვის სახლის სარდაფში აკეთებდნენ ყალბ 15 და 5 მანეთიანებს და აგრეთვე ვერცხლის ფულს. ყველა ბრალდებულნი დატუსაღებულნი არიან ტფილისის მეტეხის ციხეში.

⁂ სოხუმიდგან „ახ. მიმ.“-ს სწერენ: სოხუმის ქალაქის გამგეობის არჩევანები, რომელიც მოხდა 17 მაისს, არ დაამტკიცა საგუბერნიო მთავრობამ (როგორც მკითხველმა უწყის, ქალაქის მოურავად არჩეულმა პ. ბარკალაიამ უარი განაცხადა ამ თანამდებობაზედ). ქუთაისის საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ წინადადება მისცა ქალაქის საბჭოს თავჯდომარეს, ხელმეორედ მოახდინეთ ქალაქის მოურავისა და აგრეთვე მისის თანაშემწის არჩევნები. ეს არჩევნები უნდა მოხდეს ამ დღეებში.

ადგილობრივს საქალებო გიმნაზიაში კურს-დასამთავრებელი ეგზამენები უკვე დასრულდა. სწავლა დაამთავრა 10 მოსწავლემ, მათ შორის 2 ქართველია*.

⁂ „კანონდებულებათა კრებულში“ გამოქვეყნებულია, რომ ამიერკავკასიაზედ უნდა გავრცელებულ იქმნას იმ წესების მოქმედება, რომელნიც შეეხებიან საქონლის ჭირის წინააღმდეგს ზომებს.

⁂ „ტფ. ფ.“-ს ბათუმიდგან ატყობინებენ, რომ ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა ბათუმის მარიამის საქალებო სასწავლებლის შვიდ-კლასიან გიმნაზიად გარდაკეთების შესახებ საერო განათლების სამინისტროს არ შეუწყნარებია.

⁂ სოხუმის ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოს, როგორც იმავ გაზეთს აუწყებენ, შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ გადადებულ იქმნას: 1, გუდაუთისა და კოდორის ნაწილთა სამრევლო სკოლების 10 მასწავლებლის შესანახად—3000 მან., 2, ღარიბებს მოსწავლეთათვის სამოსწავლო ნივთების შესაძენად—600 მან., და 3, საბჭოს კანცელარიისა და მის სამაზრო განყოფილებათა შესანახად—1,400 მან.

⁂ ბაქოდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ადგილობრივი ნავთის მწარმოებელი რილსკი, რომელსაც ფითოევის ფირმის ნავთის მოპარვა ედება ბრალად, საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა დაატუსაღა.

⁂ ტფილისის გუბერნატორს, როგორც „ახ. მიმ.“-ს აუწყებენ, შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე იმის შესახებ, რომ სოფ. ყვარელის მცხოვრებთ, რომელნიც მაისის წყალ-დიდობის გამო დაზარალდნენ, შემწეობა მიეცეთ 660 მან. სულ შემწეობა უნდა დაენიშნოს 22 კომლს, თითოეულს 30 მან.

⁂ „ახ. მიმ.“ შემდეგს უცნაურს ამბავს აუწყებენ ქუთაისიდგან: რადგან ქალაქში ამ ბოლო დროს მრავალი მაწანწალა ძაღლი გაჩნდა, ქალაქის გამგეობამ საიდგანღაც მოიჯარადრე გამოიწერა, რომელსაც მიანდო ძაღლების დაჭერა, სალორიაზედ წაყვანა და იქ დახოცვა. მოიჯარადრე „პოვოსკით“ დადიოდა ქალაქში თავისის აგენტებით, იჭერდა ძაღლებს, ჰყრიდა გალიაში, რომელიც ეტლზედ ჰქონდა მობმული, და მიჰყავდა დასახოცად სალორიაზედ. მაგრამ ცუდი ბედი ეწია მოიჯარადრეს. ერთხელ, როცა პოვოსკით სალორიაზედ მიდიოდა, ერთი ახალგაზდა თავადი შეხვდა წინ. ყმაწვილმა დაინახა თუ არა გალიაში ძაღლების ხროვა, უბრძანა მოიჯარადრეს. გააჩერე პოვოსკა და გამოუშვი ძაღლებიო. გამოშვებული ძაღლები დაიფანტნენ აქეთ-იქით. შემდეგ თავადმა თვითონ მოიჯარადრე შეაგდო გალიაში და ჩაუკეტა კარები. ცხენებმა პატრონი რომ ველარსად დაინახეს, გაექანნენ, და ბედშავს მოიჯარადრეს უთუოდ შავი დღე დაადგებოდა, რომ არ მიშველებოდნენ და გაქანებული პოვოსკა არ გაეჩერებინათ. შეშინებული მოიჯარადრე მეორე დღესვე გაიპარა ქუთაისიდგან და ქუთათურებს სახსოვრად დაუტოვა თვისი შესანიშნავი გალია.

⁂ სოფ. კავთისხევი, (გორის მაზრა). 13 ივნისს კავთისხევის დღეობაზედ იქაურმა ხმალ-ხანჯლიან მლოცველ ახალგაზდებმა ასტეხეს საშინელი ჩხუბი და ერთმანეთი დასჭრეს. ამ ჩხუბისა და ალიაქოთის მიზეზი იყო მხოლოდ ღვინო. იქაურ მღვდელს რომ არ დაეშოშმინებინა, ჩხუბი უსათუოდ კაცს იმსხვერპლებდა.

⁂ „ჩერნ. ვესტ.“-ს სწერენ: 16 ივნისს, დილით, ოსმალეთის ქვეშევრდომი ავანე ქრისტის ძე გრიგორიანცი, რომელიც ჩვეულებრივ ბათუმში სცხოვრობდა და იქ ვაჭრობდა, ეტლით მიდიოდა დ. ახალსენაკიდგან ს. ხობში აბრეშუმის პარკის სასყიდად. გზაში თავს დაესხა გასაძარცვავად ოთხი ბოროტ-გამზრახველი. რადგან გრიგორიანცმა მათ წინააღმდეგობა გაუწია, ერთმა მათგანმა თოფი ესროლა, ტყვია გულში მოარტყა და იქვე მოჰკლა. ბოროტ-გამზრახველებმა მოკლულს 300 მან. მოსტაცეს, და მეტი გაძარცვა კი ვეღარ მოასწრეს, რადგან მომავალი ეტლები დაინახეს. დამნაშავენი დაიმალნენ. მოკლულის გვამი ახალსენაკში მიიტანეს, იქიდგან-კი ბათუმში გაჰგზავნეს რკინის გზით. გრიგორიანცს დარჩა ცოლი და ოთხი მცირე წლოვანი შვილი, რომელნიც ოსმალეთში სცხოვრებენ.

⁂ გამოირკვა, რომ სოფ. ზემო-ავჭალას სეტყვისაგან 15 ათასამდე მანეთის ზარალი მისცემია.

⁂ ტფილისის გუბერნატორი ი. ნ. სვეჩინი 19 ივნისს ტფილისიდგან კოჯორს წავიდა.

⁂ მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორი ი. ი. სანდრიგაილო და კანცელარიის ზოგიერთი წევრი გუშინ კოჯორში გაემგზავრნენ საზაფხულოდ.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. მეჯრუხევი, (გორის მაზრა). გაზაფხულდა, ტყე შეიმოსა ფოთლით და ასტყდა საშინელი ქურდობა. ამ ერთის კვირის განმავლობაში სოფელ მეჯრუხევში მოიპარეს ორი ცხენი, ერთი ადგილობრივის მღვდლის ანტონ ხახუტაშვილისა, მეორე—მემამულის ნიკოლოოზ თულაშვილისა. ამავე დროს მოჰპარეს ახალ-სოფლელ გლეხს სამადაღიშვილს ერთი კამეჩი, ნადარბაზევში ცხენოსანმა ქურდებმა წაასხეს მთელი გუთნეული ხარ-კამეჩი, მეჯრუხევშივე მოჰპარეს გლეხს ზაბილაშვილს ერთი ხარი; განა მოსთვლის კაცი, რამდენი ქურდობა ხდება ჩვენს სოფლებში! ბევრის საწყალის გლეხისათვის აუტირებიათ ქურდებს ცოლ-შვილი, ბევრი გლეხი გაუსწორებიათ მიწასთან ქურდობით თუ საბძლებისა და მნების დაწვით. განა ერთ წელიწადს გაძლებს ასეთ უბედურებაში სოფლელები? მუდამ თარეშობაა, მაგრამ ჩვენი ხსნა-კი არსაიდგანა სჩანს. ბევრსა სწერენ და ლაპარაკობენ ჩვენში ქურდობის შესახებ, მაგრამ ქურდობა არამც თუ მცირდება, არამედ უფრო მატულობს. ბევრი სასტიკი საშუალება ხმარებულა სხვა-და-სხვა დროს ქურდების საწინააღმდეგოდ, მაგრამ ამით არა გამოსულა-რა. განა შეიძლება ასეთი ცხოვრება, როგორშიაც არის დღეს ჩაბმული ჩვენი გლეხი. დილით-საღამომდინ ჰმუშაობს, მწარე ოფლსა ჰღვრის სხვა-და-სხვა ხარჯის გასასტუმრებლად, თითონ მუდამ მშიერი, ტიტველი და მწუხარეა და ღამეც არა აქვს მოსვენება, მუდამ შიშსა და უბედურებაშია იმის ფიქრით, რომ კალთის ოსებმა ერთიანად არ გაჰზიდონ ჩემი საცხოვრებელიო. სამაზრო პოლიცია უღონოა ქურდობასთან საბრძოლველად: მოხელეთ, რომელნიც სდევნიან ქურდებს, არ იციან ზნე ხასიათი მთიულ ოსებისა და ამასთანავე დასდევენ ქურდებს ისევ ოსის ჩაფრებით, რომელნიც სანდონი არ არიან. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ას ქურდობაში, ნახევარმა რომ მიაღწიოს მთავრობის ყურამდის, აქედგან მეათედი არ აღმოჩნდება და თუ აღმოჩნდა, ისიც იმისთანა გლეხებისა, რომელნიც ორ იმდენს ფულს მისცემენ ეგრედ წოდებულს მთხრობლებს, რაც თითონ ნაქურდალი ღირს. ბევრჯელ მოხდება ისე, რომ თითონ ქურდი გამოვა მთხრობლად და პატრონს დაუბრუნებს საქონელს და ფულს გამოართმევს. ბევრი ქურდობა ჩაივლის ისე, რომ დანაკარგის პატრონი არც-კი აიკვლებს ხოლმე, ან რად აიკვლოს, როდესაც დარწმუნებულია, არაფერი გამოვა, ტყუილის ხარჯის მეტი, რადგან კიდეც რომ იპოვოს ქურდი და აიკვლოს, მაინც ვერას გადაახდევინებს ქურდებს დაწვის შიშით.

ნ. ხ—შვილი

რუსეთი

ფინანსთა სამინისტრომ და სახელმწიფო კონტროლმა თანხმობა განაცხადეს იმაზედ, რომ სახაზინო რკინის გზების საობლო თანხიდგან პენსია მიეცეს რკინის გზის მოსამსახურე კაცთა ობოლ შვილებს.

თვალ-საჩინოდ აღვნიშნავ. უნივერსიტეტში ოთხი კურსია. თითოეულზედ ოთხ-ოთხი კაცი გვყავს. ეს ხომ 16 კაცი. საზღვარ-გარეთაც ოთხის წლის განმავლობაში სხვა-და-სხვა წლებს გაგზავნილი ოთხ-ოთხი ვიანგარიშოთ, ესეც 16. სულ პირველ საანგარიშო წელს 32 კაცი, რომელთაც 16 ათასი მანეთი სჭირდებათ; ახლა ესეცაა, ყველა დაასრულებს-კი ამ 8 წლის განმავლობაში სწავლას?! არ შეიძლება, რომ ბევრი მათგანი 12 წელსაც მოუნდეს, მით უმეტეს, თუ ნივთიერი საშუალება აქვს? მოიგონეთ „კვალ“-ში დასტამბული წერილი სტ. ყაზახიშვილის შესახებ. ღმერთმა დამიფაროს, რომ მე ამგვარ ჩაბეზღებას თავუგრძნობდე, მაგრამ მითქმა-მოთქმა და შური ხომ გამოუწვევია მაინც ამ საქმეს ზოგიერთთა შორის, ამისთანა მაგალითი ხშირი იქნება მაშინ. თუ ეს ვიანგარიშეთ, მაშინ ხომ ზემორე თქმული ანგარიშიც შემცირდება, ასე რომ ყოველწლიურად თუ სამი კაცი ჩამოგვივიდა ევროპიდგან, ისიც დიდი ამბავია. ეს ხომ მე უფრო გულ-უხვობა გამოვიჩინე და მთლად ჩვენი მოგება იმათ მოვახმარე; თუ ამ 16 ათასიდგან იმათთვის ნახევარის მეტს ვერ გავიმეტებთ, მაშინ ხომ ყოველწლიურად შესაძენ სწავლულთა რიცხვიც შუაზედ გაიყოფა, ე. ი. ყოველ წლიურად შევიძენთ ერთნახევარ კაცს, მაგრამ რაკი კაცის გაყოფა, და ისიც ნასწავლის კაცისა ასე ადვილად გასამეტებელი არ არის, სჯობს ასე ვთქვათ: ორს წელიწადში ჩვენ შეგვეძინება სამი ევროპაში განათლებული კაცი. ახლა თქვენ მიბრძანეთ, 8000 კაცის საერთო საქმიდგან წელიწადში ორისა და სამის მეტმა რომ ვერ ისარგებლოს, კერძო კაცთა სარგებლობა გამოდის თუ არა?!

არა, ბატონებო! საზოგადო საქმის თავნი სულ სხვაა და საქველ-მოქმედო საქმის თავნი კიდევ სხვა. თუ გნებავთ, იმ აზრსაც დავეთანხმოთ, ვითომ საზოგადო საქმის თავნი და საქველ-მოქმედოსი ერთი და იგივე იყოს. გადავდოთ საერთო ფულის მოგება ყოველ წლიურად ორის-სამის განათლებულ კაცის შესაძენად. მაგრამ ეს ხომ უსამართლობაა, ეს ხომ საზოგადო ინტერესის დარღვევაა! ეს იმასა ჰგავს, რომ ას კაცს ფსონი შემოატანინოთ და ამ ასიდგან 99 შიმშილითა და წყურვილით მოვკლათ მხოლოდ იმისთვის, რომ ერთს სულ სუკის მწვადებით და კახურით გაუმასპინძლდეთ, რათა ამ ერთმა საქვეყნოდ წარმოსთქვას თქვენი ქება. ჩემის ფიქრით, ამგვარი მასპინძლობა უკანონობაა. უფრო კანონიერი იქნება ასივემ მიიღოს წილხვედრი კერძი ამ მასპინძლობაში. კახური თუ ყველას არ გასწვდება, თითო ნაჭერი ყველი და ორორი ჭიქა ღვინო მაინც ყველას შეხვდება.

ეს ასეა, მაგრამ, როგორც ზემოდ ვთქვით, დავეთანხმოთ იმ აზრსაც, ვითომ ამგვარი წეს-რიგი კანონიერი მოვლენა იყოს. ვთქვათ, ხომ საზოგადოების ინტერესი დაცული იქნება თუ მას ამ ფულის საშუალებით წელიწადში ორი-სამი განათლებული კაცი მეტი შეეძინა. მერე ასე იქნება-კი? თამამად ვიტყვი, რომ იმისდა მიუხედავად, გადავდებთ თუ არა ფულს ამ საქმისათვის, უნივერსიტეტში კურს დამთავრებულთა რიცხვი ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივე იქნება, „როგორაო, მკითხავთ: თუ-კი დღეს, როდესაც ფულს არა ვხარჯავთ ყოველ წლიურად 15—20-ის განათლებული კაცი გვემატება, უეჭველია, როცა 8—9 ათას მანეთს დავახარჯებთ ამ საქმეს, მაშინ, 15—20-ის ნაცვლად, 20—25 სწავლა დამთავრებულს შევიმატებთ“, მიპასუხებს ბევრი მკითხველთაგანი.

მირთალია, მაგრამ მე მაინც ჩემსას გავიმეორებ და მორჩილებით მოგახსენებთ: არა, ბატონებო! თუ დღეს, ე. ი. როცა საერთო ფულიდგან არაფერს ვხარჯავთ, ყოველ წლიურად, მაგალითად, 20 განათლებული კაცი გვემატება, ეს რიცხვი უცვლელად დარჩება მაშინაც, თუნდ ამ საქმეს 10 ათასი მანეთი დავახარჯოთ. აი, რისთვის: როგორც ვიცით, უნივერსიტეტს რომ ყმაწვილი მოხვდეს, საჭიროა გიმნაზიაში დაასრულოს სწავლა, ასე რომ ყოველ წლიურად უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებულთა რიცხვი პირდაპირ დამოკიდებულია გიმნაზიაში სწავლა-დამთავრებულთა რიცხვისაგან. და ვინც-კი გიმნაზიას ასრულებს, ის უნივერსიტეტში დღესაც მიდის. არ ვიცი მაგალითი ჩვენში მაინც, ყმაწვილს გიმნაზია დაესრულებინოს და შინ დარჩენილიყოს იმ მიზეზის გამო, რომ უნივერსიტეტში წასასვლელი საშუალება არა ჰქონოდეს. ერთის სიტყვით, ვინც-კი გიმნაზიაში სწავლას ასრულებს, ყველა მიდის უნივერსიტეტში, მხოლოდ ეს კია, ბევრმა ამ მიმავალთაგანმა ძლიერ ხელ-მოკლედ უნდა იცხოვროს რუსეთში სიღარიბის გამო; მაგრამ ასეა თუ ისე, სცხოვრებენ-კი მაინც. საზოგადო ფულის ამ საქმისათვის დახარჯვას მხოლოდ ის შეუძლიან, რომ ამ ხელ-მოკლეთა მდგომარეობა გააუმჯობესოს და არა უმაღლესს სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულთა რიცხვი გაამრავლოს, რადგან თუ გიმნაზიიდგან არ გავგზავნით ბევრს, ვერც უნივერსიტეტი მოგვცემს მეტს.

კარგი, თუ გნებავთ იმ ანგარიშსაც დავეთანხმოთ, რომ ამ ფულის საშუალებით ყოველ-წლიურად სამოთხ განათლებულ კაცს მეტს შევიძენთ, ვიდრე დღეს (არ დაივიწყოთ-კი, რომ ეს არ მოხდება), მერე რა? იქნება გგონიათ, რომ ეს განათლებული კაცები ერთბაშად სამოთხის კარს გააღებენ და თავიანთ ბრმა თანამოძმეთ შიგ შეიყვანენ! კიდეც რომ მოიღოს ღმერთმა ჩვენზედ ეს მოწყალება, „ბრმები“ მაინც თავისას იტყვიან: „ტყუილია, სამოთხის კარი ღია რომ იყოს ჩვენც დავინახავდით იმისს სიმშვენიერესო?“ მოდი და ახლა შენ დააჯერე ბრმა, სამოთხის კარი ღიაათქო. არ დაიჯერებს, მისთვის რომ არას და ვერაფერსა ჰხედავს. რა უნდა ჰქნას ერთმა თუნდ თვით ბრძენთა-ბრძენმა იქ, სადაც ათასს მისი გამარჯვება ღვთის რისხვად ეს-

— სატახტო ქალაქის გაზეთებში რუსულ ჟურნალის „ნაჩალო“ს რედაქტორ-გამომცემელმა გამოაცხადა: ჩემგან სრულიად დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, იძულებული ვარ შევაჩერო ჟურნალის გამოცემა რამდენისამე ხნითაო.

— როგორც „Кур.“-ი იუწყება, მთავრობამ უკვე გარდასწყვიტა დააარსოს ვარშავის პოლიტეხნიკუმთან სამთო განყოფილება. დააარსებენ ამ განყოფილებას მაშინ, როდესაც ინსტიტუტის შენობას დაამთავრებენ.

— 15 ივნისიდგან დაიწყო თხოვნების მიღება იმათგან, ვისაც ჰსურთ პეტერბურგის ღედათა სამკურნალო კურსებზედ შესვლა. წელს ამ კურსებზედ სულ 185 თავისუფალი ვაკანსიაა. მიიღებენ ქალებს 20 წლისაზედ არა ახალგაზრდებს და 25 წლისაზედ არა უმეტესს. თხოვნების გაგზავნა 1 აგვისტომდე შეიძლება. სწავლა კურსებზედ 1 სექტემბერს დაიწყობა.

— სამთო ინსტიოუტში წელს მიიღებენ სულ 80 კაცს; აქედგან 70 კაცმა საკონკურსო ეგზამენი უნდა დაიჭიროს, დანარჩენი 10 სხვა უმაღლესს სასწავლებლიდგან გადასულნი იქმნებიან მიღებული.

— უწმ. სინოდში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ყველა საეპარქიო სანთლის ქარხნისათვის ერთი საზოგადოება იქმნას შემუშავებული.

— ადგილობრივმა ერობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ურალზედ პოლიტეხნიკუმი იქმნას დაარსებული. ამ საგანს, როგორც „Пет. Вѣд.“ იუწყება, სახალხო განათლების სამინისტრო ახლო მომავალში გარდასწყვეტს. დასახელებულია ორი ქალაქი, სადაც პოლიტეხნიკუმი უნდა იქმნას დაარსებული: პერმი და ეკატერინბურგი.

— შიდა რუსეთში ინტელიგენტ ქალებს განუზრახავთ, როგორც „С. О.“-ა იუწყება, დააარსონ ახალი დედათა საზოგადოება განსვენებულის მწერალ ქალის ნ. დ. ხვოშჩინსკის სახსოვრად. საზოგადოებას საგნად ექმნება დახმარება აღმოუჩინოს იმ ახალგაზდა ქალებს, რომელთაც სატახტო ქალაქებსა და საზღვარ-გარეთ ჰსურთ წასვლა სწავლის განსაგრძობად.

◆

უცხოეთი

საფრანგეთი. როგორც-კი შესდგა ახალი კაბინეტი საფრანგეთში, გაზეთებმა მაშინვე ხმა გაავრცელეს, რომ სამხედრო მინისტრს აზრად აქვს სასტიკად დასაჯოს გენერლები: ცურლინდენი, ბუადეფრი, გონზი და პელიეკო. „Journal“-ის თანამშრომელს ამ დღეებში საუბარი ჰქონია გენერალ გალიფესთან, რომელსაც განუცხადებია, რომ ტყუილი არის ის ხმები, ვითომ მე ხსენებულ გენერლების დასჯა მინდოდესო; მათი სახელი მინისტრთა ბჭობის დროს არც-კი უხსენებია ვისმესო, და ჩემს ამხანაგებში ერთსაც არავისა სურს მათი პასუხის გებაში მიცემაო. მე დარწმუნებული გარო, — უთქვამს მინისტრს, — რომ საჭიროება აღარ მოითხოვს სამინისტრომ ვინმე დასაჯოს, და აფიცრები წეს რიგს არ დაარღვევენო. მე არ მეგულება ისეთი აფიცერი, რომლისათვისაც იმდენი ეგინებინოთ, რამდენიც ჩემთვის, მაგრამ მე ხმასაც არ ვიღებდი და ვფიქრობ, რომ უფლება მაქვს მევე მოვითხოვო ჩემის ხელქვეითებისაგანაცო. როგორც სხვები, მეცა ისე მოუთმენლად მოველი რენის სამხედრო სასამართლოს განჩინებას, რომ გავიგო დამნაშავეა დრეიფუსი, თუ არაგო. რაშიაც მე არაოდეს ეჭვი არა მქონია, ეს ის არის, რომ პოლკოვნიკი პიკარი სრულიად უდანაშაულო უნდა იყოსო. სხვა დრო რომ ყოფილიყო, ჟურნალისტებთან ბაასისათვის უთუოდ გამოვსცვლიდი მთავრობის კომისარს კარიერს, რომელიც რენის სამხედრო სასამართლოშია გაგზავნილი, მაგრამ ეხლა არ გამოვსცვალე, ეჭვი რომ არავის აღო, რომ მე ვითომ მაღას ვატან სამხედრო სასამართლოსო. მე თქვენ პატიოსან სიტყვას გამლევო, — დაუბოლოვებია თავისი საუბარი გენერალს, — რომ არც ერთს მინისტრს არა აქვს აზრად მალა დაატანოს სამხედრო სასამართლოს წევრებს; დრეიფუსი გამტყუნდება, თუ გამართლდება, არ ვიცი, მაგრამ ეს-კი ცხადია, განჩინება სინიდისის თანახმად იქმნება დადგენილი. მაგრამ ეს განჩინება როგორიც უნდა იქმნეს, მის წინაშე ყველამ თავი უნდა მოიხაროსო. ამასაც დავსძენ, რომ საქმის გარჩევის დროს თუ ვისიმე ზოროტ-მოქმედება გამოაშკარავდა, დამნაშავენი დაისჯებიანო.

—

ამერიკა. ამერიკის შეერთებულ შტატებს აქამდის ახალშენები არა ჰქონია და ამიტომ არც ახალშენთა სამინისტრო არსებობდა იქ. ესპანიის დამარცხების შემდეგ დიდმა რესპუბლიკამ მრავალი ადგილები შეიძინა როგორც თვით ამერიკის ზღვებში, ისე აზიასშიაც. გარდა ამისა მას თვალი უჭირავს ჩინეთისაკენ, რომ ევროპის სახელმწიფოებისა და იაპონიის მსგავსად იმანაც შეიძინოს იქ რაიმე. ერთი სიტყვით საახალშენო საქმეები გაურთულდა შეერთებულ შტატებს და საჭირო იყო ამ საქმეებისათვის განსაკუთრებული დაწესებულება. შტატების მთავრობასაც დიდხანს არ გაუჭიანურებია ასეთი დაწესებულების დაარსება: მაკ-კინლეის, როგორც გაზეთები იუწყებიან, უკვე გადაუწყვეტია ახალშენთა სამინისტროს დაარსება და მინისტრად დაუსახელებია ამერიკის ელჩი პარიჟში, გენერალი პორტერი.

—

იაპონია და ჩინეთი. იაპონელების მეცადინეობა, რომ როგორმე იაპონიასა და ჩინეთს ერთმანეთ შორის კავშირი შეეკრათ, არ განხორციელებულა. ამ კავშირის შესახებ გრაფ იტოს მიერ შემუშავებული პროექტი რომ განხორციელებულიყო, იაპონია დიდ ზეგავლენას მოიპოვებდა ჩინეთის შინაგან საქმეებზე და ჩქარაც შესამჩნევ ცვლილებას მოახდენდა ამ დაძველებულ სახელმწიფოში. რაღა თქმა უნდა, ამით იაპონია სახელს გაითქვამდა და პირველობას დაიჩემებდა მთელს აღმოსავლეთ აზიაში, მაგრამ ჩინეთის ძლიერ არისტოკრატიის დასს, რომელიც გარს ახვევია ქვრივს დედოფალს და დიდი გავლენა აქვს მაზედ, მარი გამოუთხრია ამ პროექტისათვის. ევროპის წარმომადგენელნიც ბევრსა სცდილან, რომ ეს პროექტი არ განხორციელებულიყო, რომელნიც გაფაცებით ადევნებდნენ თვალ-ყურს ჩინეთისა და იაპონიის მოლაპარაკებას და რომელნიც იმ აზრის არიან, რომ ევროპის სახელმწიფოთა ინტერესებისათვის უმჯობესია, ჩინეთში ესლანდელი განწყობილება და წეს-რიგი დარჩეს უცვლელადო.

◆

დამახსოვრდა

არა არს ქვეყანასა ზედა სიხარული, რომელი არა შეიცვალოს მწუხარებად.

ინდოეთის მეფე პორი (VI ს. ქრ. წ.)

* * *

ჭკუიანი და გონიერი ჭირსა შიგან გამგარდების.

როსტომიანი

* * *

ვითარცა ფერხი მრუდი მოგუსა *) მართალსა არა მოეზავების, ეგრეთვე გულთა გულარძნილთა ქებაჲ.

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი

◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ოსმალეთის მთავრობას ამას წინად წყალში მოსიარულენი დაუქირავებია ზღვის ძირის გამოსაკვლევად იმ ადგილას, სადაც 1770 წელს რუსეთის ფლოტმა ოსმალეთის გემები გაანადგურა. ოსმალეთის ფლოტის გარდა დაღუპულა მაშინ რუსეთის რამდენიმე გემიც. წყალში მოსიარულეთ უკვე გაუსინჯნიათ ზღვის ძირი და უპოვნიათ 32,000 ოქროს დუკატი, მრავალი ოქროს და ვერცხლის ნივთი, ოქროს საცეცხლური, ხატები, ოქროს ფიდნოსები, საინები და მრავალი სხვა ძვირფასი ნივთი. ეს ნივთები სტამბოლში გაუგზავნიათ, ოსმალეთის მთავრობას წყალში მოსიარულეთათვის მიუცია 276,000 ფრანკი.

* * *

ამ წლის ნოემბერს პარიჟში დააარსებენ ჟურნალისტთა სკოლას. სკოლაში ხუთი კურსი იქმნება. პირველ კურსზედ ჟურნალისტი ფუკიე წაიკითხავს ლექციებს ჟურნალისტიკის მნიშვნელობისა და მომავალის შესახებ. იმანვე უნდა ასწავლოს მოსწავლეებს ტეხნიკური მხარეები საგაზეთო საქმისა, ის თუ, როგორ უნდა შედგენა გაზეთს, როგორ უნდა დაამზადოს ახალი ამბები, კორესპონდენციები, თეატრისა და სასამართლოს მატიანენი, საზოგადოებათა ანგარიშები და სხვა. რეპორტერთათვის ცალკე განყოფილება იქმნება, ასწავლიან იმას, თუ როგორ უნდა გახდეს მსურველი რეპორტერი, რის ცოდნა არის საჭირო იმისთვის და სხვა; მეორე კურსზედ (მასწავლებლად იქმნება კორნელი) ასწავლიან ჟურნალ-გაზეთობის ისტორიას; მესამეზედ (მასწავლებელი — დეპუტატი კრუპპი) — კანონებს ბეჭდვითი სიტყვის შესახებ; მეოთხე კურსზედ (მასწავლებლად იქმნება პარიჟის უნივერსიტეტის პროფესორი სენიობო) — ჟურნალ-გაზეთების აწინდელ მდგომარეობას და მნიშვნელობას. მეხუთე კურსს პრაქტიკული ხასიათი ექმნება: მოსწავლენი სტამბაში ივლიან და გაიცნობენ აწყობის, ბეჭდვის საქმეს და სხვა. ფრანგული გაზეთები სიხარულით მიეგებნენ ამ ახალ-სკოლას.

* * *

ამ ბოლოს დროს ძალიან მოუხშირეს ფეხითა და ველოსიპედით დედა-მიწის გარეშემო შემოვლას. 10 ივნისს პარიჟიდგან ამ აზრითვე გაუდგნენ გზას ვალლი შვინგერსგაუზენი და გუსტავ კეგელი. ეს უკვე მეშვიდე მგზავრობაა ველოსიპედით დედამიწის გარეშემო. წინანდელმა ექვსმა ვერც ერთმა ვერ მიიყვანა განზრახვა ბოლომდის. ზოგი გზაში დაიღუპა, ზოგიც ავად გახდა. ყველაზედ უბედურად ნემცების ლენცისა და კროლლის მგზავრობა დასრულდა. ლენცი ვანის ტბის მახლობლად იქმნა მოკლული ავაზაკ ქურთებისაგან, ხოლო კროლლმა ბელუჯისტანის ჰავა ვერ აიტანა და გარდაიცვალა. ახალ მოგზაურთ შვინგერსგაუზენსა და კეგელს აზრადა აქვთ ჯერ ევროპა გაიარონ, შემდეგ აზია და ამერიკა. გზას ამ რიგად დაადგებიან: საფრანგეთი, სამხრეთ-გერმანია, ავსტრია, ვენგრია, რუმინია, ბოლგარია, ოსმალეთი, მცირე აზია, სპარსეთი, ბელუჯისტანი, ავღანისტანი, ოსტ და ვესტ ინდია, ბირმა, სიამ, ჩინეთი, იაპონია და ამერიკა.

* * *

როგორც გაზეთები იუწყებიან, ამას წინად ნიუ-იორკის პოლიციას აღმოუჩენია ამ ქალაქში მათხოვართა მთელი სინდიკატი. სინდიკატი იმდენად მდიდარი ყოფილა, რომ სადგომში 10,000 მანეთს იხდიდა თურმე. გამგეობა ამ სადგომში ყოფილა მოთავსებული. იქვე ჰქონდათ შენახული სხვა-და-სხვა ნივთები, მათხოვრებისათვის საჭირო:

მის. ბრძნის ხმაც-კი დარჩება „ხმად მღაღადებლის უდაბნოსა შინა“. აბა ერთი მიბრძანეთ, რომელმა მეცნიერულმა გამორკვევამ მოიკიდა ფეხი ხალხში, ვიდრე ხალხის უმეტესობამ არ შეიგნო ამა თუ იმ გამოკვლევის ჭეშმარიტება! აშკარაა, ერთბამად არაფერი შეიძლება, ყველაფერს დრო და თან და თანობა სჭირია. მაშასადამე, ჯერ ბრმებს თვალი უნდა ავუხილოთ, რომ სამოთხის სიტურფის დაფასება თუ ვერ შეძლონ, სიამოვნება მაინც იგრძნონ მისის ხილვით.

ყოველისავე ზემო თქმულიდგან ამას დავასკვნი.

1, საზოგადო საქმის თავნი სხვა არის და საქველმოქმედო საქმის თავნი სხვა. მისაღებ ფულის შემოსავალი საზოგადოების მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს და არა კერძო კაცთა შემწეობის აღმომჩენი. 8,000 კაცის საერთო შეძლებიდგან წელიწადში რომ მხოლოდ სამმა და ოთხმა ისარგებლოს, ამას კერძო კაცთა სარგებლობა ჰქვიან.

2, ამ ფულის შემწეობით უმაღლესს სასწავლებელში კურს დამთავრებულთა რიცხვი არ იმატებს, ვინაიდგან ვინც იქამდე აღწევს, რომ მაღალ სასწავლებლის კარი ღია აქვს, ის დღესაც მიდის და გაჭირვებით თუ დალხინებით ცხოვრების გზას ირკვევს.

3, თუნდა დავიჯეროთ კიდეც, რომ ფულის საშუალებით წელიწადში ორი-სამი ნასწავლი კაცი მეტი შეგვემატება, ვ დრე დღეს არის, ეს მაინც იმას არა ნიშნავს, რომ ამ ორი-სამის შემწეობით ხალხის სვებედი გაუმჯობესდეს.

4, ჯერ უნდა ვეცადოთ ამ ფულის საშუალებით რაც შიძლება უმრავლესობას ოდნავ მაინც აუხილოთ თვალები, რათა ამ ოდნავთვალ-ახილულებმა შესძლონ დაფასება სიკეთისა და სიავის და ამ შეგნების მეოხებით თავიანთი მომავლობა მაინც კეთილს გზაზედ დააყენონ.

„შინ არ ჰქონდა, შორს გაჰქონდაო“, რომ უთქვამთ, სწორედ ისეა ჩვენი საქმე. ჯერ ისე ვერ მოგვიწყვია საქმე, რომ ყოველ დღე შიშში არ ვიყვნეთ: აი, აგერ დაიკეტება და აი, აგერ ის ერთად-ერთი სკოლა, რომელიც დღესა გვაქვს და რომელიც ასე თუ ისე ცოტად მაინც თვალს უხელს იქ მოსწავლე 500—600 ყმაწვილს და იმას კი გავიძახით: რა ვუყოთ ფულს, ვის მოვახმაროთო?!. რაღა შორს გავრბივართ? განა ამ ერთად-ერთს ჩვენს სათავად-აზნაურო სკოლას არ ეჭირვება ყურის გდება?! განა მისი არსებობა ალალ-ბედზედ არ არის დაფუძნებული? განა საფიქრებელი არ არის, რომ ბანკმა ერთს მშვენიერს დღეს სთქვას: „არაფერი მომიგია და სკოლას რა მივსცეო“. გაგიკვირდება ვისმე ეს ამბავი დღეის იქით მაინც? უარესი რამ თუ არ მოხდა, ეს კიდევ არაფერია, ეს კია, სკოლა მოისპობა. მაგრამ იქნებ საჭიროც არ იყოს ეს სასწავლებელი! იქნებ მეტი ბარგია, რაკი პირდაპირ „ჩინოსნებს“ არ იძლევა? ბევრი ამ აზრისაც არის. მაგრამ ეს ხომ შემცდარი აზრია: განა სწავლა მარტო ჩინების მისაღებად არის საჭირო?

სხვა თუ არაფერია, განა ცოტაა დღესაც იმისთანა, რომ ამ სკოლაში ანა-ბანა უსწავლია და ამის შემწეობით დღეს ლუკმა პურს სჭამს? უბრალო რკინის გზის მეისრე რაა, იმანაც ხომ რუსული წერა-კითხვა უნდა იცოდეს დღეს, თორემ ადგილს ვერ იშოვის. მაგრამ ამისთანა წვრილმანებისათვის ეკადრება ვისმე განა ლაპარაკი?!. საკმაოდაა ისეთებიც, რომელთაც ამ სკოლაში დაუწყიათ სწავლა, განუგრძვიათ გიმნაზიაში და მერე უნივერსიტეტშიც. ეს ხომ მაინც საყურადღებოა. ოცოცდა-ხუთამდე ყმაწვილს პირადად ვიცნობ, რომლებიც ამ სკოლაში სწავლობდენ და რომელთაგანაც დღეს ზოგს უკვე დასრულებული აქვს უმაღლესი სწავლა-განათლება და ზოგიც დღესაც უნივერსიტეტშია. დამერწმუნეთ, ეს სკოლა რომ არა ყოფილიყო, ბევრი ამ ყმაწვილთაგანი ან-ბანის მცოდნენიც არ იქნებოდენ. რადა? ეს ხომ ყველამ იცის. იმადა, რომ გიმნაზიაში შესასვლელად ვერსად მომზადდებოდნენ და, მაშასადამე, უნივერსიტეტში საიდგან წავიდოდნენ, ამ მეოთხე კლასამდე მშობელმა იოლად მიიყვანა ყმაწვილი, თვეში ოთხი ბათმანი ფქვილი და სამი-ოთხი მანეთი ქუთაისში ბავშვის შესანახავად ყველამ შესძლო. სწავლის ფულს არ იხდიდა. ამ მცირე ანგარიშს არ შეუშინდა ღარიბი აზნაური და მისთვის გაბედა ყმაწვილის სასწავლებელში მიცემა. მერე, როცა ყმაწვილმა ოთხი პროგიმნაზიული კლასი დაასრულა, მისმა ღარიბმა მამამაც კი გაბედა ყმაწვილის გიმნაზიაში შეყვანა და ზოგიერთს კიდევ სხვა რამ წყარო აღმოუჩნდა სწავლის განსაგრძობად.

მაგრამ რა საჭიროა ამდენი წილადობილი ლაპარაკი: ამ სკოლას რომ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან, ეს საეჭვო არავისათვის უნა იყოს. მხოლოდ საჭიროა ეს სკოლა მაინც ყველასათვის ხელ-მისაწვდენი გავხადოთ, თვით სკოლაც საფუძვლიანს ნიადაგზედ დავაყენოთ, მერე, როდესაც ამ სკოლას უზრუნველ ვყოფთ ყოვლის მხრივ, თუ, ღვთით, რამე დაგვრჩება ბანკის მოგებიდგან, შეგვიძლიან იმითი აღმოუჩინოთ დახმარება ყველას, ვინც კი ღირსი იქნება ამისი. ეს კია, ჯერ-ჯერობით ასეთს შემწეობას წასაქეზებელ-წასახალისებლად უნდა ვხმარობდეთ, მაშინ მეტს ნაყოფს გამოიღებს იგი. მაგრამ ეს ჩემს დღევანდელ სალაპარაკო საგანს არ შეეხება. ამ წერილით მსურს საზოგადოებისა და ფულების ბედ-იღბალთან ახლო მყოფ კომისიის ყურადღება მივაქციო ჩვენს სათავად-აზნაურო სკოლას. შესაძლებელია ისიც მოხერხდეს, რომ ამ სკოლასთან ქალების განყოფილება დაარსდეს, ამ საგნის შესახებაც ბევრი რამ ითქმის, მაგრამ რა კი წერილი უამისოდაც გაგრძელდა, სჯობს ჯერ აქ შევჩერდეთ.

პ—პე ლორთქიფანიძე

---

*) მოგვი მეშის ფეხსაცმელია.

მ. ჯ.

3,000 ყავარჯენი, 4,000 ხის ფეხი და ხელი, 6,000 ბარათი, რომლებზედაც მოწოდება ყოფილა დაბეჭდილი მათხოვრების სასარგებლოდ. სინდიკატს მრავალი წევრი ჰყოლია. ყოველ დილით ეს წევრები „გამგეობაში“ მიდიოდნენ და მიჰქონდათ იქიდგან საჭირო ნივთები. გამგეობა გულ-ხელ დაკრეფილი არა მჯდარა და აუარებელ ცნობებს ჰკრებავდა თურმე სხვა-და-სხვა მდიდარ და გულ-ჩვილ ფილანტროპების შესახებ. ავადმყოფობის დროს წევრებს სინდიკატიდგან შემწეობა ეძლეოდათ. ყოველ თვეს დივიდენდები ურიგდებოდა წევრებს. სინდიკატის პრეზიდენტი ამ დაწესებულების წყალობით მილიონების პატრონი გამხდარა. დაუპატიმრებიათ პრეზიდენტი თეატრში, როდესაც ერთ ლამაზს ქალს გვერდით ეჯდა და არხეინათ ემუსაიფებოდა.

◆ ◆

ხალხური ლექსები

(გაგონილი და ჩაწერილი ს. ბაზალეთში დ. ა. მოლოდინაშვილის მიერ)

ვაჟი ქერაი ჭაბუკი
ზღვას გაღმა ქალსა ჰყვარობდა,
სავლელად დიდი გზა იყო
იქ გასვლას არა ხარობდა.
ქალი ანთებდა სანთელსა,
ვაჟიც იმასთან ხარობდა:
ერთი სულ-ძაღლი ბებერი
უქრობდა, აბეზარობდა:
— შე უნამუსო დიაცო,
უწინაც ისა გყვარობდა!
ჭაბუკი დარჩა წყალშია,
იბრძოდა, ბობოქარობდა,
ვეღარას იგებს გზისასა—
ცის ანგელოზი სწყალობდა.
მეორე დილა გათენდა
დიდი ქალაქი ზარობდა *),
იმ გაზარებულს ქალაქში
იმ ვაჟს ვერავინ სდარობდა,
იმის თეთრსა ძუძუ მკერდზედ
ზედ ორბი იჯდა, ჰხაროდა,
ქალი სტიროდა ციხეში,
იწყევლებოდა, სჯავრობდა:
— თუ იქნება, ის იქნება,
სხვას გვერდთ არ მივეკარები,
სამს წელიწადს პურს არა ვჭამ,
სულ ქვიშას დავემთქნარები.
დავსჯდები საბნელოშია,
უნდა დავკეტო კარები,
სულს მეუფესთან გავგზავნი,
შავს მიწას მივეფარები;
სანამ ცოცხალი ვიქნები,
უნდა ვითხარო თვალები!

◆ ◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 ივნისი

რენნი. დრეიფუსი მოვიდა აქ დილის 6 საათზედ. ნაპირზედ კიბერონში გადმოხტა, ხოლო რენნში ეტლით მოვიდა. იმასთან ერთად მოვიდნენ დეპარტამენტის პრეფექტი, პოლიციის დირექტორი და ერთი პოლიციელი. თუმცა ხალხი ბევრი იყო, მაგრამ უწესოება ან მანიფესტაცია არავითარი არ მომხდარა. დრეიფუსს ქალარა გაჰმორევია.

რენნი. ქ-ნი დრეიფუსი ქ-ნ გავასთან ერთად თავისს ქმრის ოთახში 8 საათსა და 30 წუთს შევიდა. არ შეიძლება იმ სცენის გადაცემა, რომელიც ცოლ-ქმრის შორის მოხდა. სტუსაღოს გარეშემო ჟანდარმები იდგნენ.

რენნი. საძაგლის ამინდის გამო დრეიფუსის მოსვლის დროს ხალხი ცოტა შეიკრიბა. მატარებლის რენში წასვლის დროს სასანიტარო აგენტმა მოიწადინა დრეიფუსის შეჩერება ვითომ იმ მიზეზით, რომ ახალშენიდგან არის მოსულიო. საქმე ხელად მოარიგეს. ვაგონიდგან ეტლამდე დრეიფუსმა ფეხით გაიარა. სწორედ 6 საათზედ რენნაში მოვიდა. ხალხში გაისმა მხოლოდ: „ის არის!“-ო. დრეიფუსი ჯანმრთელად არის.

20 ივნისი

პეტერბურგი. სამხედრო მინისტრის ბრძანება. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა: 1) შემოღებულ იქმნას 1899 წლის 1 ივლისიდგან ახალი ტაბელები მომატებულის ჯამაგირისა აფიცერთა, ტოპოგრაფთა და სამხედრო სამღვდელოებისათვის. 2) იმ აფიცრებს, რომელთაც ამ ახალის წესით ჯამაგირი აკლდება, ძველის წესით უნდა მიეცეთ სამსახურის გათავებამდე. 3) 1900 წლიდგან მეტი ფული მიეცეთ ტანისამოსისათვის იმ აფიცერთ, რომელნიც გაათავებენ სამხედრო სასწავლებელს და მეორე ხარისხით ვაჟთა კორპუსს—225 მანეთის ნაცვლად 300 მანეთი, აგრეთვე იმ პოდპრაპორშჩიკებს, რომელნიც შემდეგ ხარისხს მიიღებენ.

ვალენცია. აქ უწესოება მოხდა. ჯარმა თოფები დაუშინა ხალხს. დაწვრილებით ამბები ჯერ არ მოსულა.

21 ივნისი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატრიცამ ღამე კარგად გაატარა. ახლად შობილიც სრულიად ჯანმრთელად იმყოფება.

რენნი. მოვიდნენ ვექილნი დემანჟი და ლაბორი და აგრეთვე მატიე დრეიფუსი მეუღლითურთ.

ბარცელონა. მონჯუის საქმის გადასინჯვის მომხრეთა მიტინგის შემდეგ მანიფესტაციები მოხდა იეზუიტთა მონასტრის წინააღმდეგ, ჟანდარმერია ჩაერია საქმეში, მაგრამ ხალხმა ქვები დაუშინა. ჟანდარმებმა ხალხზედ იერიში მიიტანეს. რამდენიმე კაცია ფაჰრილი.

პარიჟი. ქ-ნმა დრეიფუსმა კვლავ ჰნახა თავისი ქმარი, რომელიც სრულიად გულ-გაუტეხელადაა და ჯანმრთელად.

აკადემიკოსი შერბიულიე გარდაიცვალა.

◆ ◆

წერილი რედაქციის მიმართ.

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ქ-ნთ: ქ. არსენაშვილისას, მ. ს. ბარნაბოვისას, ნ. მ. ბერიევისას, ა. გეგელიძისას, ვ. კ. გრიგოროვისას, ა. დემუროვისას, ვ. დემუროვისას, ნ. მ. ელიზბაროვისას, დ. გ. იანქოვისას, ნ. ა. იანქოვისას, ვ. ს. კუკავაძისას, ე. ს. კუკავაძისას, ს. კოლაშვილისას, დ. ი. ლაზარევისას, ვ. ლეკიშვილისას, ო. დ. მახათაძისას, ვ. ოძელისას, ა. ოთაროვისას, ა. პავლოვისას, ო. თ. ფიცხელაურისას, ვ. გ. სისაურისას, ნ. კ. ტატიევისას, ე. ჭინჭარაძისას, ა. ცისკაროვისას, ა. დ. ხახუტოვისას, მ. ი. ხანდამოვისას, ი. ა. ხელაევისას, ნ. ხატიევისას, ნ. დ. ხირსელისას, ბ-ნთ: ი. ი. ბერექიანს, დ. ბურჯანაძეს, ი. გოგოლაძეს, მ. ი. დავიდოვს, ი. დათოშვილს, დ. პ. ეპიტაშვილს, მ. ა. იანქოვს, მ. ვ. იმერლიშვილს, ი. ს. კობახიძეს, ი. კილოსანიძეს, დ. ს. კუკავაძეს, მ. დ. ლაზარევს, ნ. მაისურაძეს, ვ. მამამთავრიშვილს, კ. ი. მაჩიტაძეს, ი. ნინუას, გ. ვ. პეტრიაშვილს, ნ. გ. პეტრიაშვილს, ტ. პეტრიაშვილს, მ. ა. სამადალოვს, ნ. უსეინოვს, გ. ზ. ფორაქოვს, მ. ს. ფხალაძეს, დ. შარაბიძეს, ი. წიწივაძეს, ი. ყიფიანს, ე. სირბილაძეს, კ. ხუციძეს, გ. ხახუტოვს, მ. კ. ცინცაძეს,—რომელთაც დიდი თანაგრძნობა გამიწიეს და მიიღეს მონაწილეობა ქართულ სასულიერო კონცერტში, რომელიც გამართული იყო 4 აპრილს 1899 წ. ტფილისის „სობრანიის“ დარბაზში, მცხეთის ტაძრის განახლების თანხის სასარგებლოდ.

დიდს მადლობას ვუცხადებ სასულიერო სემინარიის რექტორს არქიმანდრიტს მ. ჰერმოგენს და ინსპექტორს ბერ-მონაზონს მ. დიმიტრის, რომელთაც ათს თავიანთ მოსწავლეს ნება დართეს, კონცერტში მონაწილეობის მიღებისა. ამასთანავე მადლობას ვუცხადებ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიის წინამძღვარს მ. მ. ტყემალაძეს, რომელმაც სიამოვნებით დამითმო სკოლის დარბაზი, სადაც სავარჯიშო გაკვეთილები მქონდა, და ჩვენს ახალგაზდა მემუსიკეს ბ-ნს ა. ნ. ყარაშვილს, რომელიც გულ-მხურვალე მონაწილეობას იღებდა კონცერტში.

კონცერტის გამმართველი
ი. მონადირიშვილი

განცხადებანი

განვიძრახე რა ყოველივე ანგარიშის გასწორება, რათა შევადგინო **ანდერძი**, უმორჩილესად ვთხოვ ყველას, ვისაც აქვს ჩემგან ვადა გასული, ან ვადა გაუსვლელი თამასუქები, ან სხვა რამე ვალდებულების ქაღალდები, მომთხოვონ და მიიღონ ივლისის ოცამდე ამა 1899 წლისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერს ჩავთვლი ყალბად და უკანონოთ.

გიორგი ბარისის ძე კოსტავა
(3—6.—1)

მიხეილის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკს 13 მაისს 1899 წელს ჰქონდა მე-45 ტირაჟი გირავნობის ფურცლებისა.

ამ გირავნობის ფურცლებზედ ფულის გადახდა დაიწყება 1899 წლის 1 ივლისიდგან. ფულის მიღება შეიძლება: ქ. ქუთაისში—ბანკის კასსაში, პეტერბურგსა და ვარშავაში—გ. ვაველბერგის საბანკო სახლში, სახელმწიფო ბანკში და ყველა იმის კანტორასა და განყოფილებაში. ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლებს თან უნდა ახლდეს ყველა კუპონი, რომელთაც ვადა უთავდებათ 1899 წლის 1 ივლისიდგან, წინააღმდეგ შემთხვევაში დაკლებულ კუპონების ნაცვლად იმათი ფასი იქმნება დაკლებული.

ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლების ნომრები:

1000 მანეთის ღირებულებისა.									
43¹/₂ წლ. ვადიანი		18⁷/₁₂ წლ. ვადიანი		19¹¹/₁₂ წლ. ვადიანი		48⁸/₁₂ წლ. ვადიანი		36³/₁₂ წლ. ვადიანი	
სერია	№ №	სერია	№ №	სერია	№ №	სერია	№ №	სერია	№ №
4	31	11	1337	2	147	1	46	1	25
7	7	„	1472	3	206	2	94	2	151
8	251	„	1474	„	207	3	171	„	152
10	371	12	2081	„	208	„	172	„	153
12	528	„	2082	„	209			„	154
19	793	13	2343	„	210			„	155
„	794	„	2380	5	390			3	178
21	848	„	2418	6	453				
„	849	14	2693	„	456				
„	850	19	3054	8	581				
„	851	„	3055						
22	866	„	3056						
„	867								

500 მამეთის ღირებულობისა.									
43¹/₂ წლ, ვადიანი		18⁷/₁₂ წლ. ვადიანი		19¹¹/₁₂ წლ. ვიდიანი		48⁸/₁₂ წლ. ვადიანი		36⁴/₁₂ წლ. ვადიანი	
სერია	№ №	სერია	№ №	სერია	№ №	სერია	№ №	სერია	№ №
								1	40
2	2	17	981	1	13	1	13	4	238
3	8	18	1014	2	114	„	14		
„	9	20	1176	3	230	„	17		
4	36	21	1217	„	231	3	165		
„	37	23	1256	„	232	„	166		
5	58	24	1358	„	233	„	167		
6	10			„	234	„	168		
14	478			„	235	11	389		
16	509			„	236				
22	663			„	237				
				„	242				
				„	243				
				4	324				
				6	443				
				7	490				

100 მანათიან ღირებულობისა									
43¹/₂ წლ. ვადიანი.		18⁷/₁₂ წლ. ვადიანი.		19¹¹/₁₂ წლ. ვადიანი		48⁸/₁₂ წლ, ვადიანი.		36⁴/₁₂ წლ. ვადიანი.	
სერია	№ №	სერია	№ №	სერია	№ №	სერია	№ №	სერია	№ №
5	62, 63 და 64.	10	1197, 1198, 1199,	1	146, 147 და 148.	1	64, 65, 66 და 69.	1	133 და 134.
7	67.		1200 და 1226.	2	201, 202 და 203.	2	282.	2	352, 353,
17	1394 და 1395.	11	1479, 1504 და 1582.	3	459, 460, 461, 462	3	412, 413, 414, 415,		354 და 355
19	1487, 1488 და 1489.	13	1972, 2039 და 2040.		463, 464, 465, 466		416, 417 და 418.	4	917.
21	1578, 1579 და 1580.	17	2434.		467, 468, და 469.	4	558.	5	989 და 990.
22	1603, 1604, 1605.	19	2726.	4	711.	5	611 და 612.		
„	1608, 1609 და 1616.	22	2897, 2898, 2899 და	5	775, 776, და 777.	6	816 და 817.		
24	1717, 1718, 1721 და		2904.	6	952, 953, 961, 962	7	902.		
	1722.	23	2948, 2949 და 2950.		და 963.	8	1006.		
		24	3091.	7	1237 და 1252.	9	1098.		
				8	1450, 1451 და 1452.	14	1446, 1447, 1448,		
							1449, 1450, 1451 და		
							1452.		

(1—6.—1)

---

*) ზარობდა—ჰგლოობდა.

Дозволено цензурою, Тифлисъ 21-го Іюня 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე